სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/08

ქ. თბილისი 24 მარტი 2026

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილებაში - „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ - ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის, აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის №01-05-04/29 დადგენილებისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2026 წლის 24 მარტის №01-06-02/04 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 26 ნოემბრის №01-06-02/49 დადგენილებაში - „სტუ-ში სტუდენტების სწავლის საფასურის განსაზღვრის შესახებ“ - და დადგენილების 1.1 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„1.1. ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების, ასევე „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის

საფუძველზე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული პირების და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე (მოიცავს არანაკლებ 60 კრედიტს) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით ჩარიცხული პირების (გარდა ამ დადგენილების 1.2. პუნქტში მითითებული პირებისა) ერთი წლის (60 ECTS კრედიტი) სწავლის საფასური განისაზღვროს 2250 (ორი ათას ორასორმოცდაათი) ლარის ოდენობით.";

2. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისი გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურმა;

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი **ზაზა სოფრომაძე**